



დანართი 3

ქეა საერთაშორისო კავკასიაში

პროექტი „სოფლის თანამონაწილეობითი განვითარება საქართველოში“

საგრანტო პროგრამის ფარგლებში ხშირად დასმული კითხვები:

1. ვის შეუძლია განაცხადის შემოტანა?

ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, კომერციულ ინსტიტუტებს, არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციებს, არაკომერციულ ორგანიზაციებს.

2. რა ეტაპებს მოიცავს საგრანტო კონკურსი?

საგრანტო კონკურსი მოიცავს ორ ეტაპს, რა დროსაც მიიღება და საბოლოოდ შეირჩევა საპროექტო განაცხადები.

3. რა სახის საპროექტო განაცხადები განიხილება?

საგრანტო პროგრამის ფარგლებში განიხილება კომერციული (არასასოფლო-სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო) მიმართულებები, ასევე, სოციალური და ინფრასტრუქტურული მიმართულებები.

4. ვინ განიხილავს საპროექტო განაცხადებს?

საპროექტო განაცხადებს განიხილავს პროექტის მიერ შექმნილი საგრანტო კომისია, რომელიც დაკომპლექტებული იქნება პროექტის გუნდისა და მოწვეული ექსპერტებისგან.

5. რა საბუთებია საჭირო საპროექტო განაცხადის წარმოსადგენად?

შერჩევის პირველ ეტაპზე განმცხადებელი ავსებს საპროექტო იდეის ფორმას, რომელიც შემუშავებულია პროექტის მიერ. შერჩევის მეორე ეტაპზე წარმატებით გადასვლის შემთხვევაში განმცხადებელს მოეთხოვება დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა, რომლის დეტალური ჩამონათვალი გადაეცემა მოგვიანებით.

6. რა ვადაში ეცნობებათ განმცხადებლების თავიანთ საპროექტო იდეებზე გადაწყვეტილების შესახებ?

შერჩევის პირველ ეტაპზე საგრანტო იდეის ფორმის წარმოდგენის შემდგომ გადაწყვეტილება მეორე ეტაპზე გადასვლის შესახებ განმცხადებლებს ეცნობებათ მხოლოდ მას შემდეგ, რაც საგრანტო კომისია განიხილავს წარმოდგენილ საპროექტო განაცხადებს. (დეტალურად, იხილეთ საგრანტო სახელმძღვანელო)

7. რა ოდენობის თანხა გაიცემა საგრანტო კონკურსში? თუ არსებობს მაქსიმალური ან/და მინიმალური საგრანტო თანხის ზღვარი?

საგრანტო კონკურსის ფარგლებში მოთხოვნილი ნებისმიერი გრანტის ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს მინიმალური და მაქსიმალური თანხის მოთხოვნებს:

კომერციული (არასასოფლო-სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო)

- მინიმალური ოდენობა - 5 000 ევრო
- მაქსიმალური ოდენობა - 30 000 ევრო
- სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება/რეაბილიტაცია**
- მინიმალური ოდენობა - 3 000 ევრო
- მაქსიმალური ოდენობა - 20 000 ევრო
- სოციალური და არაკომერციული მიმართულებები:** ადვოკატირება, სოციალური აქტივობა, ცნობიერების ამაღლება, ტრენინგები
- მინიმალური ოდენობა : 1 000 ევრო
- მაქსიმალური ოდენობა : 10 000 ევრო

8. შესაძლებელია თუ არა განმცხადებელმა წარადგინოს ერთზე მეტი საპროექტო განაცხადი?

შესაძლებელია, თუმცა ერთ განმცხადებელზე გაიცემა მხოლოდ ერთი საგრანტო თანხა.

9. შესაძლებელია თუ არა საპროექტო განაცხადი ითვალისწინებდეს თანადაფინანსებას?

დიახ, შესაძლებელია თანადაფინანსება როგორც ფულადი, ისე არაფულადი შენატანით(დეტალურად, იხილეთ საგრანტო სახელმძღვანელო)

10. რა ვადაში უნდა დასრულდეს საპროექტო განაცხადით წარმოდგენილი საქმიანობა?

საპროექტო განაცხადით გათვალისწინებული საქმიანობა უნდა დასრულდეს 2017 წლის 31 აგვისტომდე.

დამატებითი ინფორმაცია საგრანტო კონკურსთან დაკავშირებით გაიცემა „ქეა საერთაშორისო კავკასიაში“ ლაგოდების ოფისში შემდეგ მისამართზე: ზაქათაის 23, ლაგოდები.